ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5030731

ნომერი: AR1758718

თარიღი : 03.07.2020

გაცემის თარიღი : 19.07.2020

გაცნობის თარიღი : 21.07.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გმირი კურსანტების ქუჩა N1ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ხატია მანაგაძე პ/ნ 31001044669
- მცხეთა ს. მუხრანი მე–5 ქ. N 13

ნომენკლატურა :

- საჯარო ინფორმაციის გამოთხოვა
- შეტყობინება არქიტექტურულ ობიექტზე

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი NAR1758718 ელექტრონული განაცხადი, რომლის პასუხად გაცნობებთ, რომ 2020 წლის 29 მაისის NAR1744111 განაცხადით სამსახურს მომართა მოქალაქე მილენა ცუცქირიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, გმირი კურსანტების ქ. N1ა-ში, N01.11.05.011.162 საკადასტრო ერთეულზე 2020 წლის 25 მაისის N4949266 ბრძანებით შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე,

მშენებლობის ნებართვის გაცემა. საკითხის შესწავლის შედეგად მასში გამოვლინდა გარკვეული სახის ხარვეზები, რის გამოც ამ ეტაპზე აღნიშნულის გაცემა არ მომხდარა.

თქვენი შეტყობინება მიღებულია ცნობის სახით.

სამსახური მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარების თაობაზე წარმოდგენილი კონკრეტული განცხადების განხილვისას, განიხილავს ამ ობიექტთან დაკავშირებით თქვენ მიერ წარმოდგენილ შეტყობინებასაც, ზეპირი მოსმენის სხდომის ჩატარების გარეშე. რის შედეგადაც სამსახური მიიღებს კანონმდებლობის შესაბამის გადაწყვეტილებას ყველა დაინტერესებული პირის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და გარემოებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

ობიექტის სამშენებლო განვითარების შესახებ თვალყურის დევნება შეგიძლიათ სამსახურის ვებ- გვერდის (www.tas.ge) მეშვეობით, ინტერაქტიულ რუკაზე საპროექტო ფენის ჩართვის და ძიებაში დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის მითითების შემთხვევაში.